



საქართველო

თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

N 46 26

19/02/2018

თერჯოლის მუნიციპალიტეტში მცხოვრები სახლდაზიანებული მოქალაქეების დახმარების პროგრამის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-3 ნაწილის, მე-4 ნაწილის, მე-19 მუხლის „ბ.“ ქვეპუნქტის, 24-ე მუხლის მეორე, მე-3, მე-4 ნაწილების და თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის 2018 წლის 2 თებერვლის №45/541 წერილის საფუძველზე თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:

მუხლი 1. დამტკიცდეს თერჯოლის მუნიციპალიტეტში მცხოვრები სახლდაზიანებული მოქალაქეების დახმარების 2018 წლის პროგრამა დანართის შესაბამისად.

მუხლი 2. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერს.

მუხლი 3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ზესტაფონის რაიონულ სასამართლოში (ქ. ზესტაფონი, წერეთლის ქ. №7) კანონით დადგენილი წესით დაინტერესებული მხარის მიერ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

მუხლი 4. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

ნინო ჯანელიძე

საკრებულოს თავმჯდომარე

თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულო